აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
Academic Board of Akaki
Tsereteli State University

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკადემიური საბჭო

25 დეკემბერი, 2012

**დადგენილება № 63 (12/13)**
**აკადემიური პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვის ნორმებში ცვლილების შეტანის შესახებ**

აკადემიური პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვის ნორმებში შეტანილ იქნეს ცვლილება, რომლის საფუძველზეც მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

**მუხლი 3**

ა) აკადემიური თანამდებობის პირებს, რომლებსაც აწსუ-ში იმავდროულად უკავიათ შემდეგი ადმინისტრაციული ან სხვა თანამდებობი, კერძოდ, რექტორი, რექტორის მოადგილე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე, დეკანი, დეკანის მოადგილე, უნივერსიტეტის და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, აწსუ დამხმარე სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელი, აგრეთვე რექტორის გადაწყვეტილებით სხვა თანამდებობები, უმცირდებათ აკადემიური პერსონალისათვის გათვალისწინებული სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური წლიური დატვირთვა 50%-ით.

ბ) აკადემიური თანამდებობის პირებს, რომლებსაც აწსუ-ში იმავდროულად უკავიათ მკვლევარის თანამდებობა, უმცირდებათ აკადემიური პერსონალისათვის გათვალისწინებული სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური წლიური დატვირთვა 50%-ით.

აკადემიური საბჭოს

თავმჯდომარე, რექტორი: პროფ. გიორგი ღავთაძე